



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 29 ნოემბერი, 2017 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: „ევროპის ფონდი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ნინო ხუხუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
8. ვიტალი გიორგაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი კონფერენცია;
- საქართველოს ეროვნული პლატფორმის მხარდამჭერი პროექტის სამუშაო ვერსიის წარდგენა - ლაშა ტულუში, ლიბერალური აკადემია თბილისი;
- პლატფორმის წესდების საკითხი _ საბჭოს წევრთა კანდიდატების დასახელების წესი;
- და სხვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საბჭომ განიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი კონფერენციასთან დაკავშირებული საკითხები.

პლატფორმის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ პლატფორმის მხარდამჭერი პროექტის ხელმძღვანელთან, ბატონ ლაშა ტულუშთან ერთად ის შეხვდა ბატონ ვიქტორ დოლიძეს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს და მის ოფისს. როგორც შეხვედრაზე მათ მიაწოდეს ინფორმაცია, პრემიერ-მინისტრს უარი არ უთქვამს კონფერენციაში მონაწილეობაზე, თუმცა ჯერ ოფიციალური წერილით ვერ ადასტურებენ. პლატფორმის წარმომადგენლებმა მინისტრს სთხოვეს, რომ იმ შემთხვევაში თუკი პრემიერი ვერ შეძლებს მონაწილეობას, ალტერნატიულ ვერსიად განხილული იქნას ვიცე პრემიერის მონაწილეობა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის ევროინტეგრაციულ პროცესებზე.

გარდა ამისა, შეხვედრაზე პლატფორმის მხრიდან გამოითქვა სურვილი, პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო შეხვდეს მინისტრსა და მის გუნდს, რომელიც მთავრობის სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გადაიბარებს ევროინტეგრაციის მიმართულებას.

საკოორდინაციო საბჭომ განიხილა კონფერენციაზე მოწვეულთა სიაც. გადაწყდა, რომ კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყველა წევრისა და სახელისუფლებო სტრუქტურების გარდა, მოწვეულნი იქნენ დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა, პლატფორმის არაწევრი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ასევე, საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა სამდივნოს მიაწოდონ პარტნიორი სტრუქტურების წარმომადგენელთა სია, რომელთა მოწვევაც მნიშვნელოვანია კონფერენციისთვის. გარდა ამისა, პლატფორმის თავმჯდომარემ გამოთქვა ინიციატივა

გაკეთდეს ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც მოწვეული სტუმრები გაივლიან რეგისტრაციას, რათა ორგანიზატორებმა წინასწარ მიიღონ ინფორმაცია მონაწილეთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ რეგისტრაცია იყოს მარტივი და ითხოვდეს მხოლოდ შემდეგ მონაცემებს: სახელი; გვარი; ორგანიზაცია. რეგისტრაციის შესაძლებლობა ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ 8 დეკემბრამდე.

საბოლოოდ, რამდენადაც პარლამენტის დარბაზი იტევს 200 ადამიანს პლატფორმამ დააორგანიზოს 200 სტუმრის მოწვევა. ასევე მნიშვნელოვანია მოწვევის წერილი გაიგზავნოს პარასკევს ყველა სტუმართან.

შემდეგ საკითხად საბჭომ იმსჯელა კონფერენციის დღის წესრიგზე. რამდენადაც არის რიგი საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, საბჭო შეთანხმდა რომ ჯგუფის კოორდინატორებმა, პარასკევს 12:00 საათამდე საბოლოოდ დააზუსტონ თავიანთი ჯგუფების პანელებზე მომხსენებლების ვინაობა და მათი დასწრება კონფერენციაზე. მათ შორის, ხელისუფლებიდან მოპასუხე სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობაც. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ განიხილა ხელისუფლების მხრიდან მოპასუხეების მოწვევის საკითხი, სამდივნოს ეთხოვა, მას შემდეგ რაც კოორდინატორები კიდევ ერთხელ დააზუსტებენ ხელისუფლებიდან მოპასუხეების ვინაობას, მათგან მიიღონ წერილობითი თანხმობა.

ასევე, საბჭოს შემდეგი შეხვედრა ჩაინიშნა ოთხშაბათს 6 დეკემბერს, რომ კიდევ ერთხელ, განიხილონ კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე საკოორდინაციო საბჭომ მოისმინა ლიბერალური აკადემია თბილისის დირექტორის, ბატონი ლაშა ტულუშის პრეზენტაცია საქართველოს ეროვნული პლატფორმის მხარდამჭერი პროექტის სამუშაო ვერსიის შესახებ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პროექტი ეხმიანება პლატფორმის სტრატეგიულ დოკუმენტს და მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის საერთო კრება; სამუშაო ჯგუფის შეხვედრები; საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები; ტრენინგები და სხვა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მცირდება ადმინისტრაციული ხარჯებიც.

პლატფორმის თავმჯდომარემ სთხოვა ლიბერალური აკადემია თბილისის დირექტორს, საბჭოს გაუზიაროს პროექტის მოკლე რეზიუმე (Concept Note), რათა საბჭოს წევრებმა წერილობით მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა